*დანართი №2*

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სახელწოდება სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მიხედვით

ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღები
12-13 დეკემბერი, 2022 წელი

თბილისი
2023

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 13

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 13

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 34

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 45

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 51

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 66

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205224700 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| **თავმჯდომარე** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ბონდო კუპატაძე (სსიპ-ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო) |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ემზარ მაკარაძე (სსიპ-შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო) |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ქეთევან დიღმელაშვილი (სსიპ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, საქართველო) |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ქრისტინა ჩიხლაძე (სსიპ-ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო) |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო შანგუა (სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო) |

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

| | პროგრამა 1 | პროგრამა 2 |
|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ისტორია History | არქეოლოგია Archaeology |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | ისტორიის ბაკალავრი<br>Bachelor of History | არქეოლოგიის ბაკალავრი<br>Bachelor of Archaeology |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0222 ისტორია და არქეოლოგია /History and Archaeology | 0222 ისტორია და არქეოლოგია /History and Archaeology |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება[1] | - | - |
| სწავლების ენა | ქართული | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 | 240 |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული / პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია)<br>შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული (2012 წლის 28 ნოემბრის №744 გადაწყვეტილება) | აკრედიტებული (2012 წლის 28 ნოემბრის №739 გადაწყვეტილება) |

[1] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ**[2]

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები შინაარსობრივად და კონცეპტუალურად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და გააჩნიათ საერთო მახასიათებლები: ეს არის წარსულის ზოგადი დიაქრონული ჩარჩოს შესწავლა და კვლევა. ორივე პროგრამის თავისუფალი სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკი (42 ECTS) იდენტურია. ჰუმანიტარული ფაკულტეტის სხვა საბაკალავრო პროგრამებისგან განსხვავებით, ორივე მიმართულება სპეციფიკიდან გამომდინარე, ასწავლის კლასიკურ (ლათინურ) ენას, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებში არის საერთო სასწავლო ჯგუფები: არქეოლოგიის საფუძვლები, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIII ს. დამდეგის ჩათვლით და ძველი აღმოსავლეთის ისტორია. ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კურსი აფხაზეთის ისტორია ჩართულია არქეოლოგიის პროგრამაშიც. პროგრამაში ჩართულ ზოგიერთ სასწავლო კურსს/კურსებს აქვთ მსგავსი სწავლებისა და შეფასების მეთოდები. ნაწილობრივ ემთხვევა დასაქმების სფეროებიც: მუზეუმები, კულტურული მემკვიდრეობის ადმინისტრირებისა და შეფასების ცენტრები, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები, ტურისტულ სააგენტოები და ა.შ. ორივე პროგრამაზე მიღების წინაპირობები არის მსგავსი. კერძოდ, საქართველოს მოქალაქეებისთვის პროგრამებზე ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე შემდეგი სავალდებულო საგნებით: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) და ისტორია.
პროგრამამ მიმდინარე რეაკრედიტაციისათვის განიცადა შემდეგი ცვლილებები: 1. პროგრამები მოყვანილ იქნა შესაბამისობაში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულიცენტრის მიერ შემუშავებულ დარგობრივ დოკუმენტთან - ისტორიის და არქეოლოგიის დარგობრივი მახასიათებლებთან, ასევე აკრედიტაციის სტანდარტებთან. 2. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად, საუნივერსიტეტო დონეზე საბაკალავრო პროგრამებში სტუდენტებს შეუძლიათ, რომ თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი - დაგეგმონ ინდივიდუალურად, თავის შეხედულებისამებრ. უნივერსიტეტი სთავაზობს ორ შესაძლო ვარიანტს: ა) თავისუფალი კურსები - 60 კრედიტი მოიცავს ზოგადი, ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობაზე ორიენტირებული ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამის (მათ შორის ძირითადი სფეროს არჩევითი კურსების) ფარგლებში არსებულ სასწავლო კურსს/საგანს/მოდულს. ბ) დამატებითი (minor) პროგრამა - 48 კრედიტი - დამატებით (minor) პროგრამას სტუდენტი ირჩევს უნივერსიტეტის ნებისმიერი კურიკულუმიდან, გარდა რეგულირებადი პროგრამებისა. თავისუფალი კურსები - 12 კრედიტი სტუდენტს უნივერსიტეტის ნებისმიერი კურიკულუმის ფარგლებში შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი წინაპირობების გათვალისწინებით.

[2] პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

**აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 12-13 დეკემბერს. ვიზიტამდე 2 დღით ადრე შედგა ექსპერტთა წინასწარი შეხვედრა ონლაინ. შეხვედრაზე ჯგუფის წევრებმა ურთიერთს გაუზიარეს საკრედიტაციო კლასტერული პროგრამის შესახებ წინასწარი მიგნებები და შეხედულებები, მომზადდა ჯგუფური ინტერნეტ-სასაუბრო, სადაც განთავსდა კითხვები და თვალსაზრისები. ვიზიტის პირველ დღეს ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციას, თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამების ხელმძღვანელებს. დაათვალიერეს უნივერსიტეტის სასწავლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ვიზიტის მეორე დღეს ექსპერტების შეხვდნენ და გაესაუბრნენ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, მოქმედ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს და სტაჟირების განმახორციელებლებს, უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს. ინტერვიუერთა ნაწილი საზღვარგარეთ ყოფნის გამო, შეხვედრაზე ერთვებოდა ონლაინ. მთლიანობაში ვიზიტმა ჩაიარა საქმიან და კოლეგიალურ ატმოსფეროში.

- **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

**სტანდარტი 1** - პროგრამა 1 - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან

პროგრამა 2 - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან

**სტანდარტი 2** - პროგრამა 1 - შესაბამისობაშია სტანდარტებთან

პროგრამა 2 - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან

**სტანდარტი 3 -** პროგრამა 1 - შესაბამისობაშია სტანდარტებთან

პროგრამა 2 - შესაბამისობაშია სტანდარტებთან

**სტანდარტი 4 -** პროგრამა 1 - შესაბამისობაშია სტანდარტებთან

პროგრამა 2 - შესაბამისობაშია სტანდარტებთან

**სტანდარტი 5 -** პროგრამა 1 - შესაბამისობაშია სტანდარტებთან

პროგრამა 2 - შესაბამისობაშია სტანდარტებთან

- **რეკომენდაციები**

1. საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კომპონენტში გაუქმდეს ხელმძღვანელის შეფასება ან შემცირდეს 10 %-მდე. დარჩენილი ქულები კი გადანაწილდეს რეცენზენტის (40-50 %) და კომისიის (50-60 %) შეფასების კომპონენტში. ამით თავიდან ავიცილებთ ნაშრომის სუბიექტურად შეფასების საფრთხეს და პროგრამაში ჩართული დარგის სპეციალისტების მონაწილეობა საბაკალავრო ნაშრომის შეფასებაში გაზრდის მის ხარისხს.
2. დასკვნითი გამოცდის ფორმატი განისაზღვროს მხოლოდ წერილობითი სახით. გამოირიცხოს კომბინირებული ვარიანტი, ვინაიდან დაწესებულებას არ ფლობს

სტუდენტის მიერ ზეპირი გამოცდის აპელაციის მექანიზმს (არ ხდება გამოცდის ჩაწერა...), რაც ობიექტურ შეფასებას საფრთხეს უქმნის. დასკვნითი გამოცდა უნდა იყოს დოკუმენტირებული. ზეპირი გამოცდის ელემენტი შესაძლებელია შუალედური შეფასების კომპონენტში.

3. რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გააქტიურდეს მუშაობა კლატერში წარმოდგენილი პროგრამების ხელმძღვანელებთან და ძირითადი სასწავლო კურსების განმახორციელებლებთან სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების მექანიზმების სრულყოფის მიზნით.

**პროგრამა 1**

1. რეკომენდებულია, გადაიხედოს ისტორიის საბაკალავრო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, პროგრამის კურიკულუმის რუკა და სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. დაზუსტდეს და გასწორდეს მათში არსებული ტექნიკური და შინაარსობრივი უზუსტობები.
2. რეკომენდებულია, ისტორიის საბაკალავრო პროგრამას სავალდებულო სასწავლო კურსად დაემატოს „კავკასიის ხალხთა ისტორია“ (განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სომხეთის და აზერბაინის ისტორიის სწავლება).
3. რეკომენდებულია, ისტორიის საბაკალავრო პროგრამაში სავალდებულო სასწავლო კურსის „ახლო აღმოსავლეთის შუა საუკუნეების ისტორია“ დამატება.
4. რეკომენდებულია, კრედიტების შიდა განაწილების დარღვევის თავიდან აცილების მიზნით, 4-სემესტრიანი „ევროპა-ამერიკის ახალი და უახლესი ისტორია“ გახდეს 2-სემესტრიანი.
5. რეკომენდებულია, ისტორიის მაინორ პროგრამას ისტორიის ძირითადი პროგრამიდან დაემატოს სასწავლო კურსი - „საქართველოს ისტორია XIX – XXI საუკუნის დამდეგი“.

**პროგრამა 2**

1. რეკომენდებულია, გადაიხედოს არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის რუკა და სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. დაზუსტდეს და გასწორდეს მათში არსებული ტექნიკური და შინაარსობრივი უზუსტობები.
2. რეკომენდებულია, გადაიხედოს გარკვეული სალექციო კურსების ჯაჭვური ბმა და თანმიმდევრობა სტრუქტურაში. კერძოდ, “საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-13 საუკუნემდე” მეორე სემესტრიდან გადავიდეს მესამე სემესტრში, ხოლო მესამე სემესტრიდან მეორე სემეტრში გადმოინაცვლოს “არქეოლოგიის საფუძვლების” კურსმა.
3. რეკომენდებულია, სალექციო კურსების გადანაცვლება კურიკულუმში, ისე, რომ ჯერ წაკითხულ იქნეს “ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს არქეოლოგია”, ხოლო შემდეგ “საქართველოს შუა საუკუნეების ქალაქები”, რათა ქრონოლოგიური გადასვლა და ბმა იყოს ამ ორ სასწავლო კურსს შორის.

4. რეკომენდირებულია გადაიხედოს „საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის ეტაპების“ სწავლის შედეგები.
5. რეკომენდირებულია გადაიხედოს და ერთმანეთთან თანხვედრაში მოვიდეს სალექციო კურსის „საქართველოს არქეოლოგია (აღმოსავლეთ საქართველოს შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრეები არქეოლოგიური მასალების მიხედვით)“ კურსის სახელწოდება, მისაღწევი შედეგები და სასწავლო კურსის შინაარსი.
6. რეკომენდირებულია სასწავლო კურსის „არქეოლოგიის შესავალი“-ს ან მიზნები და შედეგები დაკორექტირდეს, ან სილაბუსის კურსში ჩაიშალოს ის საკითხები, რაც მიზნებსა და შედეგებშია მოცემული და სილაბუსში არ ჩანს.
7. *სასწავლო სილაბუსებში ჩაემატოს ბოლო პერიოდის სილაბუსის შინაარსთან შესაბამისობაში მყოფი გამოცემები.*
8. *ზოგიერთი სასწავლო კურსის (*„ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქის აღმოსავლეთ ევროპის არქეოლოგიის საკითხები“, „საქართველოს არქეოლოგიის (აღმოსავლეთ საქართველოს შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრეები არქეოლოგიური მასალების მიხედვით)“*) ძირითადი ლიტერატურა დაკორექტირდეს და თემატურად თანხვედრაში მოვიდეს სილაბუსის სათაურებთან.*
9. *რეკომენდირებულია ზოგიერთ სილაბუსში ჩართული ძირითადი ლიტერატურის შემცირება.*

10. დაკორექტირდეს მემორანდუმით გათვალისწინებული პრაქტიკანტ სტუდენტთა ზედა ზღვარი და ის განისაზღვროს არაუმეტეს 7 სტუდენტისა, რათა მიღწევადი იყოს პრაქტიკით გათვალისწინებულ შედეგებზე გასვლა.
11. დაკორექტირდეს საველე პრაქტიკის ერთ-ერთ ადგილად მიჩნეული ხვამლის ნაქალაქარი, რომელიც რეალურად არ არსებობს და ესაა მხოლოდ შუა საუკუნეების ნაეკლესიარის შესწავლისთვის მიმდინარე არქეოლოგიური ექსპედიცია.
12. რეკომენდებულია არქეოლოგიური ეპოქების შემსწავლელ სალექციო კურსებში, ასევე „ნუმიზმატიკის შესავალი“ და „სამუზეუმო-საარქივო საქმე“ წარიმართოს ჩაშენებული პრაქტიკის თანხლებით.
13. რეკომენდებულია სტუდენტებმა პრაქტიკული მეცადინეობები პერიოდულად მიიღონ არა მხოლოდ მემორანდუმით გათვალისწინებულ დაწესებულებებში, არამედ ეროვნულ მუზეუმში, მცხეთის, რუსთავის და ქალაქის მიმდებარე მუზეუმებში, სადაც სტუდენტთა მობილობა გაცილებით ადვილია.

- **რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**

1. სასურველია, პროგრამების განმახორციელებელმა პერსონალმა ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით დეტალურად შეისწავლოს და განიხილოს თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლებისა და შეფასების მეთოდები, ასევე განახორციელოს სიღრმისეული მიზნობრივი კვლევები სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებასთან მიმართებით, რომელიც გაუსის ნორმალურ განაწილებას არ შეესაბამება.
2. სასურველია მივუთითოთ რომ თავისუფალი კრედიტებიდან საქართველოს ისტორია არის სავალდებულო საფაკულტეტო საგანი.
3. გამოკითხვებმა ცხადყო, რომ სტუდენტები ისურვებდნენ სასწავლო პროცესში მეტად იქნეს ჩართული ვიზუალური მასალა და პრეზენტაციები, რაც მათ მეტ აღქმადობას უზრუნველყოფს და ხელს შეუწყობს ისეთი პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებას, როგორიცაა პრეზენტირება.
4. სასურველია, უშუალოდ საბაკალავრო ნაშრომის წერის პერიოდში სტუდენტებს მიეწოდოთ საბაკალავრო ნაშრომის გაფორმების სტილზე მეტი ინფორმაცია.
5. სასურველია პროგრამის ხელმძღვანელის ინდივიდუალური დატვირთვის სქემაში გაპარული ლაფსუსი გასწორდეს და სადოქტორო თემის ხელმძღვანელობის ზღვრული ნორმა 60 საათის და 5 სტუდენტის ნაცვლად ჩასწორდეს, როგორც უნივერსიტეტის შესაბამისი დოკუმენტით არის გაწერილი - 90 საათით და 3 სტუდენტით.
6. პერსონალის გამოკითხვით, სასურველი იქნება თუ კიდევ უფრო გაიზრდება სამეცნიერო მივლინებების ხელშეწყობა.
7. სასურველია, კლასტერში დაჯგუფებული ისტორიისა და არქეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის სამომავლოდ განხორციელდეს მეტად სიღრმისეული შრომის ბაზრის კვლევა.
8. სასურველია, პროგრამის ხელმძღვანელები აქტიურად მონაწილეობდნენ პროგრამების მონიტორინგის პროცესის თითოეული ეტაპის დაგეგმვის, განხორციელებისა და მიღებული შედეგების გაანალიზების პროცესში.
9. სასურველია საუნივერსიტეტო გამოკითხვის კითხვარების გადახედვა, მათი შინაარსისა და ფორმულირებების დახვეწა.

**პროგრამა 1**

1. სასურველია, ოსმალეთის ისტორიის კურსი შეიცვალოს თურქეთის ისტორიის კურსით. კურსის სილაბუსსაც შესაბამისად დაემატოს თურქეთის ისტორიის უახლესი პერიოდი.
2. სასურველია, "ნუმიზმატიკის" არჩევითი სასწავლო კურსის დამატება (წარმოდგენილ კურიკულუმში ეს კურსი მხოლოდ არქეოლოგიის პროგრამაშია).

**პროგრამა 2**

1. სასურველია, კურიკულუმს არჩევითი სასწავლო საგნების სახით დაემატოს გლიპტიკა, მინერალოგია, პრაქტიკული ანთროპოლოგია, რომლებიც უფრო მეტად უზრუნველყოფდნენ სტუდენტის აღჭურვას ინტერდისციპლინური ცოდნით.
2. სასურველია „საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის ეტაპების" სალექციო კურსის შინაარსში ჩაემატოს შუა საუკუნეების პერიოდის არქეოლოგიის შესწავლის ისტორია, რათა კურსის შინაარსი თანხვედრაში მოვიდეს კურსის სახელწოდებასთან.
3. სტუდენტები საჭიროებენ საინფორმაციო შეხვედრას, სადაც გაეცნობიან კონკურსს სტიპენდიების შესახებ. აგრეთვე, სასურველია სტუდენტს მიეცეს შესაძლებლობა, გამოიმუშავოს პრეზენტირების უნარი და სასემინარო აქტივობის ფარგლებში წარადგინოს პრეზენტაციები. ამასთან ერთად, სალექციო პროცესის განმავლობაში სტუდენტები საჭიროებენ მეტ ვიზუალურ მასალას (პრეზენტაციების სახით). და ბოლოს, სასურველია სტუდენტებს მიეცეთ მეტი პრაქტიკის გავლის საშუალება ადრეული საფეხურიდან, ვინაიდან დარწმუნდნენ, ხედავენ თუ არა საკუთარ თავს ამ პროფესიაში.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[3]**

▪ **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

ორგანიზაციამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც ექსპერტთა მიერ შეთავაზებული არგუმენტების უმრავლესობა არ არის გათვალისწინებული. ეს რეკომენდაციები გაცემულია პროგრამაში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად და გულისხმობს კონკრეტული სასწავლო კურსების დახვეწას ან დამატებას, შეფასების სისტემის მოწესრიგებას. სასურველია ორგანიზაციის პოზიცია იყოს ნაკლებად ხისტი და მეტად ითვალისწინებდეს საბაკალავრო პროგრამების სრულყოფისკენ მიმართულ რეკომენდაციებს.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

## აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

## აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

[3] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება[4]
2. კლასტერული შეფასება[5]

| სტანდარტი/კომპონენტი | შეფასების მიდგომები |
|---|---|
| **1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა** | |
| 1.1. პროგრამის მიზნები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | კლასტერული |
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| **2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** | |
| 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | კლასტერული |
| 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები | კლასტერული |
| 2.4. სტუდენტების შეფასება | კლასტერული |
| **3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა** | |

[4] **შეფასების მიდგომები**: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

[5] **შეფასების მიდგომები: <u>საჭიროების შემთხვევაში</u>** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

| | |
|---|---|
| 3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები | კლასტერული |
| 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | კლასტერული |
| **4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა** | |
| 4.1. ადამიანური რესურსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | კლასტერული |
| 4.4. მატერიალური რესურსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | კლასტერული და ინდივიდუალური |
| **5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები** | |
| 5.1. შიდა ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.2. გარე ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | კლასტერული |

## III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

კლასტერში დაჯგუფებული ისტორიის და არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამები შესაბამისობაშია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების პირველ კომპონენტთან. ორივე საბაკალავრო პროგრამა შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI დონეს და უმაღლესი განათლების I საფეხურს - ბაკალავრიატს. გათვალისწინებულია ორივე პროგრამის (ისტორიის და არქეოლოგიის) დარგობრივი მახასიათებლები. ორივე პროგრამის მიზნები შეესაბამება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. ეს დარგები ტრადიციულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. თავის დროზე სწორედ საქართველოს ისტორიის და არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამების საფუძველზე მიიღო მან უნივერსიტეტის სტატუსი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აფხაზოლოგიის და აფხაზეთის ისტორიის სამეცნიერო კვლევის და სწავლების თვალსაზრისით. მას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. კლასტერში დაჯგუფებული ისტორიის და არქეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების I საფეხურის შესაბამისად.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (ისტორია, ბაკალავრიატი)[6]
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის ძირითადი მიზანია სტუდენტს მისცეს ფართო ცოდნა: ა) ისტორიული მეცნიერების ძირითადი მიღწევების, საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის ყველა პერიოდის, ძველი აღმოსავლეთის, საბერძნეთისა და რომის, ევროპისა და ამერიკის შუა საუკუნეების, ახალ და უახლეს დროში მიმდინარე ისტორიული მოვლენების შესახებ. ბ) განუვითაროს უძველესი დროიდან დღემდე საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიაში მიმდინარე პოლიტიკური, სოციალური და კულტურული მიმართულებით მიმდინარე პროცესების გააზრების, ისტორიული ეპოქების ძირითადი მახასიათებლების განსაზღვრის, სხვადასხვა ქვეყნების ისტორიული განვითარების თავისებურებების გარკვევისა და ისტორიული მოვლენების ანალიტიკური შეფასების უნარ-ჩვევები. გ) ისტორიის სხვადასხვა დარგების, მომიჯნავე და დამხმარე ისტორიული დისციპლიების შესწავლის საფუძველზე კომპლექსური, ინტერდისციპლინარული ანალიზის შედეგად დაადგინოს სხვადასხვა ისტორიული ეპოქის მოვლენები, განსაზღვროს მათი გამომწვევი მიზეზები და შედეგები, დაადგინოს გარკვეული ისტორიული კანონზომიერებანი. დ) ისტორიული წყაროების კლასიფიკაციის, სისტემატიზაციისა და ციკლური შესწავლის, სხვადასხვა ეპოქაში საისტორიო აზროვნების განვითარების და კრიტიკული მეცნიერული ისტორიოგრაფიის გაცნობის საფუძველზე განუვითაროს დარგისთვის დამახასიათებელი კვლევითი და პრაქტიკული უნარები, სპეციფიკური მიდგომები, დისკუსიის, ანალიზისა და არგუმენტაცის, პლაგიატის აღმოფხვრის მეთოდებისა და წესების ცოდნა; ე) მისცეს დარგის განვითარების თანამედროვე მოთხოვნებისა და ღირებულებების შესაბამისი კვალიფიკაცია, უწყვეტი პროფესიული ზრდის მოტივაცია.
წარმოდგენილი პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია, ასახავს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულებს ამზადებს პროგრამა. პროგრამა მისი მიზნებით საჯაროა და ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)
საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები სამ ძირითად მიმართულებას აერთიანებს: არქეოლოგიის კურსდამთავრებულისთვის საჭირო თეორიული ცოდნის მიცემას, რომელშიც იგულისხმება როგორც არქეოლოგიური ეპოქების, თეორიების და კონცეფციების, ასევე დამხმარე დისციპლინების ცოდნა. მეორე მიმართულებაა პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება, რომლითაც კურსდამთავრებული შეძლებს საველე სამუშაოების შესრულებას, არქეოლოგიური კვლევის წარმოებას ველზე თუ ველის მიღმა (ე.წ. კამერალური სამუშაოების განხორციელებას). ხოლო მესამე მიზანია კურსდამთავრებულისათვის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის

[6] აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.
აღწერისა და ანალიზის ველი გთხოვთ, გაიმეოროთ პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური), პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) და ა.შ. *(მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).*

მიცემა (ამაში იგულისხმება როგორც ინტერდისციპლინური კვლევის პრაქტიკის, ასევე საერთაშორისო ექსპედიციებში მონაწილეობის გამოცდილების მიცემა), რომლითაც ის მზად იქნება ჩაერთოს საერთაშორისო კვლევებში.
ამდენად, პროგრამის მიზნები ასახავს თუ რა ცოდნისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებული უნდა მოამზადოს პროგრამამ (შეეძლოს ველის მომზადება გათხრებისთვის, შეეძლოს ველზე მუშაობა, პირველადი ჩახატვა, მასალის დამუშავება, იდენტიფიცირება). ამავე დროს, პროგრამის მიზნებია ევროპული სტანდარტების შესაბამისი არქეოლოგიის ბაკალავრის აღზრდა, რაც გულისხმობს სტუდენტისთვის არქეოლოგიის ძირითად თეორიებზე, დარგობრივ მიმართულებებსა და დამხმარე დისციპლინებზე ფართო ცოდნის; თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების მიცემას; კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრების მომზადებას. პროგრამის მიზნებში გაწერილი მახასიათებლები პასუხობს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის ტენდენციებს და გათვალისწინებულია ინტერნაციონალიზაციის საკითხიც.
პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროსა და საფეხურის სპეციფიკას, შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, დარგობრივ მახასიათებლებს, ნათლად ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. პროგრამის მიზნების საჯარო და ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის ვებგვერდის საშუალებით.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- უნივერსიტეტის მისია;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები -** წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები -** არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1** (ისტორია, ბაკალავრიატი)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**შეფასება** [7]

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები | შესაბამისობაში მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

[7] შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამების სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან. პროგრამების სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ასევე პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამების დასრულებისას. პროგრამების შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (ისტორია, ბაკალავრიატი)

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ცოდნას და უნარებს; არის გაზომვადი და მიღწევადი; შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას; ეყრდნობა დარგობრივ მახასიათებლებს; იძლევა სწავლის შემდეგ საფეხურზე გაგრძელების შესაძლებლობას; შეესაბამება სწავლის სფეროს სპეციფიკას; პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავება ხდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ და გათვალისწინებულია დამსაქმებლის და სტუდენტთა ინტერესები; სწავლის შედეგები შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ცოდნას და უნარებს; არის გაზომვადი და მიღწევადი; შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას; ეყრდნობა დარგობრივ მახასიათებლებს; იძლევა სწავლის შემდეგ საფეხურზე გაგრძელების შესაძლებლობას; შეესაბამება სწავლის სფეროს სპეციფიკას; პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავება ხდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ და გათვალისწინებულია დამსაქმებლის და სტუდენტთა ინტერესები; სწავლის შედეგები შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კლასტერული თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- შრომის ბაზრის ანალიზი;
- ინტერვიუს შედეგები;
- კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესახებ ინფორმაცია.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

**კლასტერის საერთო რჩევები:**

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1** (ისტორია, ბაკალავრიატი)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

---

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისა და შეფასების ხარისხის პროცესები ექვემდებარება "დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე" ციკლის პრინცპიებს, ხოლო საკუთრივ პროგრამების სწავლის შედეგების შეფასებისა და მათი მიღწევის მონიტორინგის მიზნით დაწესებულებაში შემუშავებულია "სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების შეფასების მექანიზმები" და სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების სახლმძღვანელო პრინციპები.

კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება სწავლის შედეგების შეფასების როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით. ამავე მიზნით, თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის შემუშავებულია ინდივიდუალური რუკები, რომლებიც აჩვენებს წარმოდგენილი პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების ურთიერთშესაბამისობის ანალიზს, კურიკულუმებში შემავალი სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობას და სწავლის შედეგების მიღწევის დონეს. ასევე წარმოდგენილი, სწავლის შედეგების პირდაპირი მეთოდებით შეფასების გეგმები. ხოლო, რაც შეეხება სწავლის შედეგების არაპირდაპირ შეფასებას, ამ მიზნით, ორივე პროგრამისთვის განხორცილებულია მიზნობრივი გამოკითხვები სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მონაწილეობით.

წარმოდგენილი პროგრამების შეფასების მიზნით, ასევე შესწავლილია სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებლები. კლასტერული თვითშეფასების რაოდენობრივი მაჩვენებლების დოკუმენტის მიხედვით, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებელთან მიმართებით გაუსის ნორმალური განაწილება დარღვეულია „ფრიადი" შეფასების სასარგებლოდ. პროგრამების განმახორციელებელმა პერსონალმა ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით, ვფიქრობთ, სასურველია იზრუნონ ამ ხარვეზის გამოსწორებაზე და ამ მიზნით დეტალურად იქნას შესწავლილი და განხილული თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლებისა და შეფასების მეთოდები, ასევე განხორციელდეს სიღრმისეული მიზნობრივი კვლევები.

აღსანიშნავია, რომ კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები საჭიროებენ გარკვეული ტიპის მოდიფიცირებას და დაზუსტებას პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და ადმინისტრაციული გუნდის ჩართულობით.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (ისტორია, ბაკალავრიატი)

ისტორიის საბაკალავრო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების და კურიკულუმის ურთიერთშესაბამისობის დემონსტრირების მიზნით შემუშავებულია შემდეგი რუკები: მიზნების და სწავლის შედეგების და ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკები.
მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკის მიხედვით, პროგრამის მე-5 მიზანი (მისცეს დარგის განვითარების თანამედროვე მოთხოვნებისა და ღირებულებების შესაბამისი კვალიფიკაცია, უწყვეტი პროფესიული ზრდის მოტივაცია.) შესაბამისობაშია მხოლოდ მე-5 სწავლის შედეგთან (განიხილავს საქართველოს ისტორიას მსოფლიო ისტორიულ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროცესების კონტექსტში.) მიგვაჩნია, ზემოაღნიშნულ მიზანს უფრო შეესაბამება პროგრამის მე-8 და მე-10 სწავლის შედეგები, რომლებიც გულისხმობენ საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შესწავლილი ისტორიის თეორიისა და მეთოდოლოგიის ზოგიერთი თანამედროვე მიდგომის, უახლესი ისტორიული კვლევების, საისტორიო აზროვნების განვითარების, ისტორიოგრაფიული პრობლემების სხვადასხვა გადაუჭრელი საკითხების შესახებ და სფეროს შესაბამისი ტერმინოლოგიური აპარატის გამოყენებით ისტორიის კონკრეტულ საკითხზე წარსულის კრიტიკული ანალიზის და ინტერპრეტაციის განხორციელებასა თუ პროფესიულ განვითარებას. თავად მე-5 სწავლის შედეგი, ვფიქრობთ, პროგრამის მე-2 მიზანს შეესაბამება მისი შინაარსით.

ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკის მიხედვით, სადაც ნაჩვენებია სწავლის შედეგზე გამსვლელი სავალდებულო სასწავლო კურსები შესაბამისი დონეების მითითებით და იდენტიფიცირებულია განმამტკიცებელი სასწავლო კურსები (M=განმტკიცება), რომლითაც საუნივერსიტეტო პოლიტიკის შესაბამისად მიიღწევა და ფასდება სწავლის შედეგი, ფიქსირდება გასაუმჯობესებელი მხარეები, კერძოდ:

1. ზოგიერთ სწავლის შედეგზე ჭარბი რაოდენობითაა იდენტიფიცირებული M დონეზე გამსვლელი კურსები. მაგ., 1-ლი, მე-10 და მე-8 სწავლის შედეგბი ფასდება 6 და 13 სასწავლო კურსით. ვფიქრობთ, სწავლის შედეგების შუალედური და დასკვნითი შეფასება სრულიად შესაძლებელია განხორციელდეს მაქსიმუმ 3-4 სასწავლო კურსით.
2. მე-2 შედეგი „მსჯელობს ისტორიულ მეცნიერებაში არსებული უახლესი გამოკვლევებისა და მიღწევების შესახებ, განიხილავს სხვადასხვა სახის საისტორიო წყაროებს, მონაცემებსა და რუკებს, ახდენს მათ კლასიფიკაციას და სისტემატიზაციას, რომლებზე დაყრდნობით განსაზღვრავს ცალკეული ისტორიული პერიოდებისა და მოვლენების ქრონოლოგიურ ჩარჩოს;“ ფასდება “ევროპისა და ამერიკის უახლესი ისტორია II-ით”, რაც ბოლომდე არ შეესაბამება სწავლის შედეგის შინაარსს. ვფიქრობთ, აღნიშნული შედეგი შესაძლებელია შეფასდეს განმტკიცების დონეზე “წყაროთმცოდნეობის” სასწავლო კურსით.
3. მე-3 და მე-5 სწავლის შედეგი საბაკალავრო ნაშრომამდე არ ფასდება არც ერთი სასწავლო კურსით. ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია მოხდეს სწავლის შედეგის

შუალედური შეფასებაც და ამ მიზნით იდენტიფიცირებულ იქნას სწავლის შედეგზე გამსვლელი შესაბამისი განმამტკიცებელი კურსები.
4. სავალდებულო კურსი “ლათინური ენა” არც ერთ შედეგთან არ არის შესაბამისობაში წარმოდგენილი რუკის მიხედვით.

ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი მეთოდით შეფასების მიზნით წარმოდგენილია სწავლის შედეგების შეფასების გეგმის დოკუმენტი, სადაც ფიქსირდება შეუსაბამობები კურიკულუმის რუკის დოკუმენტთან (=სასწავლო კურსების სწავლის შედეგების და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა). მაგ., 1-ლი შედეგის შემთხვევაში, სასწავლო კურსი “ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია” არ ჩანს შეფასების გეგმაში, სანაცვლოდ დამატებულია ისეთი საგნები როგორიცაა “აფხაზეთის ისტორია”, “წყაროთმცოდნეობა”. კურიკულუმის რუკის მიხედვით 1-ლი შედეგი ფასდება 6 სასწავლო კურსით, ხოლო შეფასების გეგმის მიხედვით ფასდება 10 სასწავლო კურსით, რაც რა თქმა უნდა ბევრია, თან თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ არა რომელიმე ერთი კონკრეტული აქტივობით ფარსდება სწავლის შედეგი, არამედ ერთი კურსიდან რამდენიმე აქტივობით (პირდაპირი (განმსაზღვრელი შეფასება) ზეპირი გამოკითხვა, ქვიზი (ისტორიული წყაროს ანალიზი) არგუმენტირებული მსჯელობა და ანალიზი, პრეზენტაცია და სხვ.); ასევეა, მე-2 სწავლის შედეგის შემთხვევაშიც. კურიკულუმის რუკის მიხედვით ეს კურსები ფასდება “საბაკალავრო ნაშრომით” და “ევროპის და ამერიკის უახლესი ისტორია II-ით”, შეფასების გეგმაში კი აღნიშნულ კურსებს ემატება “წყაროთმცოდნეობა და საქართველოს ისტორია XIX – XXI საუკუნის დამდეგიში”. მსგავსი უზუსტობები და შეუსაბამობები სჩანს დანარჩენ სწავლის შედეგებთან მიმართებითაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია, გადაიხედოს ისტორიის საბაკალავრო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, პროგრამის კურიკულუმის რუკა და სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. დაზუსტდეს და გასწორდეს მათში არსებული ტექნიკური და შინაარსობრივი უზუსტობები.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)

არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების და კურიკულუმის ურთიერთშესაბამისობის ჩვენების მიზნით შემუშავებულია შემდეგი რუკები: მიზნების და სწავლის შედეგების და ძირითადი სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკები.
მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა ნათლად აჩვენებს მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის ურთიერთმიმართებას, რაც შეეხება კურიკულუმის რუკას, ფიქსირდება რამდენიმე გასაუმჯობესებელი ელემენტი, კერძოდ:
1. პროგრამის პირველ სწავლის შედეგზე ჭარბი რაოდენობითაა იდენტიფიცირებული M დონეზე გამსვლელი კურსები, ფასდება 10 სასწავლო კურსით.

2. პროგრამის მე-6 სწავლის შედეგია “საბაზისო კვლევითი და პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის, წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად არქივებსა და ელექტრონულ სამეცნიერო ბაზებში მოიძიებს და იყენებს საბიბლიოთეკო რესურსებს, არქეოლოგიურ რელევანტურ წყაროებს, აგროვებს მონაცემებს და აანალიზებს მათ და ქმნის აკადემიურ ნაშრომებს (რეფერატი, საბაკალავრო ნაშრომი) და აყალიბებს შესაბამის დასკვნებს.” ამ შედეგის შეფასება კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება “საველე პრაქტიკით” და “საბაკალავრო ნაშრომით”. მიგვაჩნია, აღნიშნული სწავლის შედეგის მიღწევა შესაძლებელია არა საველე პრაქტიკით, არამედ საარქივო და სამუზეუმო საქმის შემსწავლელი კურსებით.
3. მე-7 სწავლის შედეგია “იყენებს ერთ-ერთ უცხო ენას (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) დარგობრივ კონტექსტში კომუნიკაციისთვის და ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს თავისი პრეზენტაციების არსებული მოთხოვნების შესაბამისად წარდგენისთვის”. აღნიშნული შედეგი ფასდება ენების კურსებით და საველე პრაქტიკით. ამ უკანასკნელის შემთხვევაში ვფიქრობთ, შესაძლებელია ვერ მოცდეს შედეგის შეფასება, რადგან საერთაშორისო ექსპედიციებში სტუდენტების დიდი რაოდენობის ჩართვის შესაძლებლობა შეზღუდულია. ამასთან, საველე პრაქტიკის სასწავლო კურსის შინაარსიც ნაკლებ მიუთითებს შედეგში გამოტანილი უნარების შესრულებაზე.

არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი მეთოდით შეფასების მიზნით წარმოდგენილია სწავლის შედეგების შეფასების გეგმის დოკუმენტი, სადაც ფიქსირდება შეუსაბამობა კურიკულუმის რუკის დოკუმენტთან (=სასწავლო კურსების სწავლის შედეგების და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა). მაგ., მე-5 სწავლის შედეგის შესაფასებლად კურიკულუმის რუკის მიხედვით არ გამოიყენება “არქეოლოგიის კვლევის მეთოდების” კურსი, რომელიც მოცემულია შეფასების შედეგების გეგმაში. ასევე, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია მე-4, მე-5, მე-6 და მე-8 სწავლის შედეგებისთვის, შეფასების გეგმაში იდენტიფიცირებული იქნას განმამტკიცებელ დონეზე გამსვლელი სხვა კურს(ებ)ი საბაკალავრო ნაშრომისა და საველე პრაქტიკის გარდა. განსაკუთრებით ამ უკანასკნელის ვერ განხორციელების შემთხვევაში, მნიშვნელოვანია არსებობდეს სწავლის შედეგების შუალედურად შეფასებისთვის ალტერნატიული სასწავლო კურს(ებ)ი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია, გადაიხედოს არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის რუკა და სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. დაზუსტდეს და გასწორდეს მათში არსებული ტექნიკური და შინაარსობრივი უზუსტობები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ისტორიის და არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამები;
- ორივე პროგრამის კურიკულუმის რუკები
- სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში, შეფასება და ანალიზი.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

**კლასტერის საერთო რჩევები:**

სასურველია, პროგრამების განმახორციელებელმა პერსონალმა ფაკულტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით დეტალურად შეისწავლოს და განიხილოს თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლებისა და შეფასების მეთოდები, ასევე განახორციელოს სიღრმისეული მიზნობრივი კვლევები სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებასთან მიმართებით, რომელიც გაუსის ნორმალურ განაწილებას არ შეესაბამება. s

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

**პროგრამა 1** (ისტორია, ბაკალავრიატი)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

რეკომენდებულია, გადაიხედოს ისტორიის საბაკალავრო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, პროგრამის კურიკულუმის რუკა და სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. დაზუსტდეს და გასწორდეს მათში არსებული ტექნიკური და შინაარსობრივი უზუსტობები.

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

რეკომენდებულია, გადაიხედოს არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის რუკა და სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. დაზუსტდეს და გასწორდეს მათში არსებული ტექნიკური და შინაარსობრივი უზუსტობები.

**რჩევ(ებ)ი:**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.3 პროგრამის | შესაბამისობა შია | მეტწილად შესაბამისობა | ნაწილობრივ შესაბამისობა | არ არის შესაბამისობა |
|---|---|---|---|---|

| სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | მოთხოვნებთან | შია მოთხოვნებთან | შია მოთხოვნებთან | ში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

## 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

---

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

კლასტერში წარმოდგენილი პროგრამები შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო როგორ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ისე გათვალისწინებულია სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მოსაზრებები.

ისტორიის და არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურები მეტწილად თანმიმდევრული და ლოგიკურია. წარმოდგენილი პროგრამების სტრუქტურაში გარკვეული სალექციო კურსების შემთხვევაში თანმიმდევრულობა დარღვეულია, ასევე, ზოგიერთი არჩევითი კურსი მნიშვნელოვანია გადავიდეს სავალდებულო კურსების ჩამონათვალში (იხ. პროგრამების აღწერა და ანალიზი). აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამების შინაარსი და სტრუქტურა მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

ორივე პროგრამის შინაარსი, კრედიტების მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება უმაღლესი განათლების სწავლების ბაკალავრიატის საფეხურს. ორივე პროგრამა

აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად; ორივე პროგრამა 240 ECTS-ისგან შედგება, ითვალისწინებს ერთნაირ თავისუფალ სავალდებულო და არჩევით კომპონენტებს 60 კრედიტის ფარგლებში, მათ შორის სტუდენტებს აქვს შესაძლებლობა აირჩიონ დამატებითი minor პროგრამები.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (ისტორია, ბაკალავრიატი)
ისტორიის საბაკალავრო პროგრამის ძირითადი სფეროს სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები, თავისუფალი სასწავლო კურსების შინაარსი (რომლებიც მოცემულია მომიჯნავე დარგებისა და პროგრამების სასწავლო კურსებიდან) შეესაბამება დარგისა და ბაკალავრიატის საფეხურის სპეციფიკას, თუმცაღა მეტწილად უზრუნველყოფის პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, რადგან პროგრამის სტრუქტურა საჭიროებს გარკვეული ტიპის მოდიფიცირებას, იმისთვის, რომ იყო უფრო ლოგიკური და თანმიმდევრული.

ისტორიის პროგრამის კურიკულუმში არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია შემდეგი ცვლილებები:
ა) ისტორიის საბაკალავრო პროგრამისთვის მნიშვნელოვანია სავალდებულო სასწავლო კურსად „კავკასიის ხალხთა ისტორიის" (განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სომხეთის და აზერბაინის ისტორიის სწავლება) შემოტანა. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამაში არსებობს არჩევითი კურსი - „კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია".
ბ) ისტორიის საბაკალავრო პროგრამაში მნიშვნელოვანია სავალდებულო სასწავლო კურსის „ახლო აღმოსავლეთის შუა საუკუნეების ისტორია" დამატება. ამჟამად ეს კურსი ისტორიის საბაკალავრო პროგრამაში არჩევითი კურსის სტატუსითაა წარმოდგენილი. ამით შეივსება არსებული ქრონოლოგიური წყვეტა, იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამაში არსებობს სავალდებულო კურსები: „ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია" და „აზიისა და აფრიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია". კრედიტების შიდა განაწილების დარღვევის თავიდან აცილების მიზნით, შესაძლებელია 4-სემესტრიანი „ევროპა-ამერიკის ახალი და უახლესი ისტორია" გახდეს 2-სემესტრიანი.
გ) სასურველია ოსმალეთის ისტორიის კურსი შეიცვალოს თურქეთის ისტორიის კურსით. კურსის სილაბუსსაც შესაბამისად უნდა დაემატოს უახლესი პერიოდი.
დ) არჩევითი კურსის „ანტიკური ხანის საქართველოს არქეოლოგია" სანაცვლოდ ისტორიის პროგრამისთვის უფრო მნიშვნელოვანია "ნუმიზმატიკის" სასწავლო კურსის დამატება (წარმოდგენილ კურიკულუმში ეს კურსი მხოლოდ არქეოლოგიის პროგრამაშია). თუ რომელიმე ისტორიკოსს აინტერესებს ასე კონკრეტულად ეს საგანი შეუძლია თავისუფალი კრედიტების ფარგლებში აირჩიოს;
ე) ისტორიის მაინორ პროგრამა ქრონოლოგიურ ქარგაზეა გაწყობილი. მსოფლიო ისტორიის ყველა ეპოქა სრულადაა წარმდგენილი. ხოლო საქართველოს ისტორია არასრულადაა. ამ ხარვეზის დასაძლევად პროგრამის განმახორციელებლებს ვაძლევთ რეკომენდაციას, ისტორიის ძირითადი პროგრამიდან დაემატოს სასწავლო კურსი - „საქართველოს ისტორია XIX – XXI საუკუნის დამდეგი".

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)

არქეოლოგიის პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, რომლიდანაც 42 კრედიტი მოდის თავისუფალ სავალდებულო სასწავლო კურსებზე, 120 კრედიტი უჭირავს ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს, 18 კრედიტი - ძირითადი სწავლის სფეროს (არქეოლოგიის) არჩევით სასწავლო კურსებს, ხოლო დანარჩენი თავისუფალ სასწავლო კურსებს. პროგრამის სტრუქტურის ასეთი გადაწყვეტა და კრედიტების გადანაწილება ერთის მხრივ გამომდინარეობს პროგრამის მიზნებიდან და მეორეს მხრივ უზრუნველყოფს პროგრამის მისაღწევ შედეგებზე გასვლას.
პროგრამის შინაარსი მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის შედეგების მიღწევას. როგორც ბაზრის კვლევამ აჩვენა, ასევე სტუდენტებთან და კურსდამთავრებულთა გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას კვალიფიკაციის შესაბამისად მეტწილად უზრუნველყოფს.
პროგრამის სტრუქტურა მეტწილად თანმიმდევრულია, მასში შემავალი სასწავლო კურსები გარკვეულ შემთხვევებში არ არის დალაგებული თანმიმდევრულად და შინაარსობრივად არ ებმის ერთმანეთს. მაგალითად: „შუა საუკუნეების ქალაქების“ სალექციო კურსი წინ უსწრებს „ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს არქეოლოგიის“ სალექციო კურსს და „საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგიას“, რითიც დარღვეულია პროგრამის ქრონოლოგიური თანმიმდევრობა. გარდა ამისა, საქართველოს შუა საუკუნეების ქალაქები ძირითადად წარმოიშვება წინა ეპოქების ნამოსახლარების ადგილას და მათი განვითარების გზით. შესაბამისად, თუ სტუდენტმა არ გაიარა ჯერ „საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგია“ და „ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგია“, ვფიქრობთ, „შუა საუკუნეების ქალაქების“ კურსის მისაღწევ შედეგებზე სრულად გასვლა სათუო იქნება. ვფიქრობთ, ასევე გადასანაცვლებელია „საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-13 საუკუნემდე“ და „არქეოლოგიის საფუძვლები“. პირველი სასწავლო კურსის სწავლება შესაძლებელია მეორე სემესტრის ნაცვლად მოხდეს მესამე სემესტრში, ხოლო მეორე სემეტრში მის ნაცვლად ჩასმულიყო „არქეოლოგიის საფუძვლები“, რომელიც რეალურად ყველა იმ არქეოლოგიური ეპოქის შესწავლის წინაპირობაა, რომელსაც კურსის სტუდენტი გაივლის.

არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის გაუმჯობესების მიზნით, უპრიანი იქნება თუ სასწავლო საგნების ჩამონათვალს დაემატება, თუნდაც არჩევითი კომპონენტების სახით, გლიპტიკა, მინერალოგია, პრაქტიკული ანთროპოლოგია, რომლებიც უფრო მეტად უზრუნველყოფდნენ სტუდენტის აღჭურვას ინტერდისციპლინური ცოდნით, რაც ასევე უპასუხებდა თანამედროვე შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ისტორიის და არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით;
- ისტორიის და არქეოლოგიის პროგრამის სტრუქტურა;
- ისტორიის და არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის რუკა;
- კლასტერული თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1** (ისტორია, ბაკალავრიატი)
**რეკომენდაცი(ებ)ი:**

რეკომენდებულია, ისტორიის საბაკალავრო პროგრამას სავალდებულო სასწავლო კურსად დაემატოს „კავკასიის ხალხთა ისტორია“ (განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სომხეთის და აზერბაინის ისტორიის სწავლება).

რეკომენდებულია, ისტორიის საბაკალავრო პროგრამაში სავალდებულო სასწავლო კურსის „ახლო აღმოსავლეთის შუა საუკუნეების ისტორია“ დამატება.

რეკომენდებულია, კრედიტების შიდა განაწილების დარღვევის თავიდან აცილების მიზნით, 4-სემესტრიანი „ევროპა-ამერიკის ახალი და უახლესი ისტორია“ გახდეს 2-სემესტრიანი.

რეკომენდებულია, ისტორიის მაინორ პროგრამას ისტორიის ძირითადი პროგრამიდან დაემატოს სასწავლო კურსი - „საქართველოს ისტორია XIX – XXI საუკუნის დამდეგი“.

**რჩევები:**

სასურველია, ოსმალეთის ისტორიის კურსი შეიცვალოს თურქეთის ისტორიის კურსით. კურსის სილაბუსსაც შესაბამისად დაემატოს თურქეთის ისტორიის უახლესი პერიოდი.
სასურველია, "ნუმიზმატიკის" არჩევითი სასწავლო კურსის დამატება (წარმოდგენილ კურიკულუმში ეს კურსი მხოლოდ არქეოლოგიის პროგრამაშია).

**პროგრამა 2** (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

რეკომენდებულია, გადაიხედოს გარკვეული სალექციო კურსების ჯაჭვური ბმა და თანმიმდევრობა სტრუქტურაში. კერძოდ, "საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-13 საუკუნემდე" მეორე სემესტრიდან გადავიდეს მესამე სემესტრში, ხოლო მესამე სემესტრიდან მეორე სემეტრში გადმოინაცვლოს "არქეოლოგიის საფუძვლების" კურსმა.

რეკომენდებულია, სალექციო კურსების გადანაცვლება კურიკულუმში, ისე, რომ ჯერ წაკითხულ იქნეს "ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს არქეოლოგია", ხოლო შემდეგ "საქართველოს შუა საუკუნეების ქალაქები", რათა ქრონოლოგიური გადასვლა და ბმა იყოს ამ ორ სასწავლო კურსს შორის.

**რჩევ(ებ)ი:**

სასურველია, კურიკულუმს არჩევითი სასწავლო საგნების სახით დაემატოს გლიპტიკა, მინერალოგია, პრაქტიკული ანთროპოლოგია, რომლებიც უფრო მეტად უზრუნველყოფდნენ სტუდენტის აღჭურვას ინტერდისციპლინური ცოდნით.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

## 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

---

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ისტორიის და არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამების სასწავლო კურსები, მათი შინაარსი, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები და აქტივობები მეტწილად უზრუნველყოფს თითოეული სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რადგან ხარვეზებია არქეოლოგიის პროგრამის რიგ სალექციო კურსებში (იხ. არქეოლოგიის პროგრამის აღწერა და ანალიზი). ორივე პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების შინაარსი, სწავლის შედეგები და ამ კურსებში მითითებული ლიტერატურა და სხვა მასალები მეტწილად უზრუნველყოფენ პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევას. დაზუსტებას საჭიროებს საბაკალავრო ნაშრომის შუალედური და ფინალური შეფასების კომპონენტები. ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელის წილობრივი მონაწილეობა საბაკალავრო ნაშრომის შეფასებაში (30 %) ძალიან მაღალია, რამაც საბოლოოდ შესაძლოა ნაშრომის შეფასების ობიექტურობა დააყენოს ეჭქვეშ. ხელმძღვანელის შეფასება სასურველია საერთოდ გაუქმდეს ან მაქსიმუმ არ აღემატებოდეს 10 %. დარჩენილი ქულები კი გადანაწილდეს რეცენზენტის (40-50 %) და კომისიის (50-60 %) შეფასების კომპონენტში.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (ისტორია, ბაკალავრიატი)

სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები, კრედიტების მოცულობა მეტწილად უზრუნველყოფს თითოეული სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ისტორიის ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების შინაარსი, სწავლის შედეგებები და ამ კურსებში მითითებული ლიტერატურა და სხვა მასალები მეტწილად უზრუნველყოფენ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)

*სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს; სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება.*

*არქეოლოგიის პროგრამის სასწავლო კურსების შესწავლის შემდგომ გამოიკვეთა, რომ მეტწილად შესაბამისობაშია:*

- *ზოგიერთი სასწავლო კურსის შინაარსი ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან:*

მაგ.:

1. „საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის ეტაპების“ სალექციო კურსის სწავლის შედეგებში ნათქვამია, რომ სტუდენტი წყვეტს „არქეოლოგიური კვლევა-ძიების დროს მოპოვებული არტეფაქტების დათარიღებისა და ინტერპრეტაციის საკითხებს“. ვინაიდან, აღნიშნულ შედეგზე გასვლა შესაძლებელია არქეოლოგიური ეპოქების შემსწავლელი სალექციო კურსების, პრატქიკისა და საბაკალავრო ნაშრომის შესრულების შემდეგ, ხოლო ეს კონკრეტული სალექციო კურსი საქართველოს არქეოლოგიური ეტაპების შესწავლის ისტორიას ეხება, ვფიქრობთ, „საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის ეტაპები“-ს კურსით ასეთი უნარის შეძენა სათუოა. ასევე, კურსის სახელწოდების მიხედვით, სასწავლო კურსი უნდა მოიცავდეს ყველა არქეოლოგიური ეპოქის შესწავლის ისტორიას, თუმცა, მიზნებში დაკონკრეტებულია, რომ ყურადღება იქნება გამახვილებული ქვის ხანიდან ანტიკური ხანის ჩათვლის ეპოქებზე. ვინაიდან, შუა საუკუნეების არქეოლოგიური ეპოქა ასევე არქეოლოგიის ნაწილია და საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგიის შესწავლას ერთ-ერთი საინტერესო და წარმომადგენლობითი ისტორია აქვს, სასურველი იქნებოდა სილაბუსში ჩამატებოდა ამ ეპოქის შესწავლის ისტორიაც.
2. „საქართველოს არქეოლოგია (აღმოსავლეთ საქართველოს შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრეები არქეოლოგიური მასალების მიხედვით)“: ერთმანეთთან შესაბამისობაში არ მოდის კურსის სახელწოდება, შედეგების ერთ-ერთი პუნქტი - სრულიად საქართველოს ციხე-სიმაგრეთა შესახებ შეძენილი ცოდნის დემონსტრირება და სასწავლო კურსის შინაარსი: კურსის სახელწოდებით უნდა ისწავლებოდეს აღმ. საქართველოს ციხე-სიმაგრეები არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ხოლო შინაარსში ისწავლება მთლიანი საქართველოს ციხე-სიმაგრეები, ოღონდ ლიტერატურის მიხედვით და ციხე-სიმაგრეთა კონკრეტული მაგალითების მიხედვით არა ისინი, რომლებზეც არქეოლოგიური მონაცემები არსებობს, არამედ ისინი, რომლებზეც მხოლოდ ისტორიულ-არქიტექტურული მონაცემი გვაქვს. კურსი ისწავლება სნოს, შხეფის, კლდეკარის, ანანურის, ახალგორის, ქსნის ციხის, მატანის, სიღნაღის მაგალითზე, სამაგიეროდ არაა ჩართული კვეტერა, მანავი, ბოდოჯი, ჭაპალა და სხვ.

3. სასწავლო კურსის „არქეოლოგიის შესავალი“ მიზნებში წერია: სტუდენტებს გააცნოს არქეოლოგიის საგანი, მისი განვითრებისა და მეცნიერებად ჩამოყალიბების ისტორია; არქეოლოგიის თეორიის ძირითადი საკითხები, სიძველეთა მოძიებისა და კვლევის ტრადიციები სხვადასხვა ქვეყანაში; ცნობილი არქეოლოგების ბიოგრაფიები, საქართველოს არქეოლოგიის ძირითადი პრობლემები. ხოლო სწავლის შედეგების ჩამონათვალში სხვა პუნქტებთან ერთად ხაზგასმულია, რომ სტუდენტი მსჯელობს ქართველი და უცხოელი არქეოლოგების ბიოგრაფიებსა და მათ მიერ გაწეულ საქმიანობაზე. თუმცა, სილაბუსში არსად ფიგურირებს არც არქეოლოგების ბიოგრაფიები (გარდა ჰუგო ვილკენმანისა) და არც ყურადღება არაა გამახვილებული თუ რა პრობლემები არსებობს საქართველოში არქეოლოგიის მიმართულებით. სასურველია ან მიზნები და შედეგები დაკორექტირდეს, ან სილაბუსის კურსში ჩაიშალოს ის საკითხები, რაც მიზნებსა და შედეგებშია მოცემული და სილაბუსში არ ჩანს.

● *სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა კურსის სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.* მაგ.:
1. „ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქის აღმოსავლეთ ევროპის არქეოლოგიის საკითხები“-ს სილაბუსში, რომელიც კურსის სათაურიდან გამომდინარე არქეოლოგიური მასალების შესწავლის საფუძველზე უნდა გავიდეს შედეგზე, ძირითადად ისტორიული ხასიათის ლიტერატურაა გამოყენებული და ერთადერთი წიგნი, რომელიც მატერიალურ კულტურას ეძღვნება ნ. ბერულავას შეიარაღებაა.

2. „საქართველოს არქეოლოგიის (აღმოსავლეთ საქართველოს შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრეები არქეოლოგიური მასალების მიხედვით)“ კურსის ლიტერატურაში ძირითადად მითითებულია ისეთი წიგნები, რომლებიც არა ციხე-სიმაგრეთა არქეოლოგიურ გათხრებს ეხება, არამედ მათ ისტორიულ-არქიტექტურულ ნაწილს. კარგი იქნებოდა ამ ლიტერატურაში ჩართული იყოს დ. მინდორაშვილის კვეტერა, მ. სინაურიძის ჭაპალის ციხე არქეოლოგიური გათხრებით, პ. ზაქარაიას ჭაქვინჯა და სხვ.

● *სილაბუსში ჩართული უახლესი ლიტერატურის და სავალდებულო ლიტერატურის რაოდენობის საკითხი: სილაბუსების ნაწილში ჭარბადაა წარმოდგენილი სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი., მაგ. მითითებული 7-12-მდე რაოდენობით სახლმძღვანელო.* აუცილებელია სილაბუსებში მოცემული სავალდებულო ლიტერატურის შემცირება. შესაძლებელია დანარჩენი მრავალფეროვანი ლიტერატურა გადავიდეს დამატებით საკითხავი მასალის ოფციაში. ასეთი კურსებია: „შუა საუკუნეების ქართული ქალაქები“, „ნუმიზმატიკის შესავალი“, „საქართველოს ბრინჯაოს ხანის არქეოლოგია“, „შესავალი ტროასა და ტროადის არქეოლოგიაში“, „აფხაზეთის ისტორია და არქეოლოგია“, „საქართველოს ანტიკური არქეოლოგია“, „საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგია (ადრეული შუა საუკუნეები)“, „საქართველოს შუა საუკუნეების არქეოლოგია (განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეები)“, „ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქის აღმოსავლეთ ევროპის არქეოლოგიის საკითხები“.
*მნიშვნელოვანია და შესაბამისად რეკომენდებულია, სილაბუსებში ჩაემატოს ბოლო დროს გამოქვეყნებული ლიტერატურა. მაგ: საქართველოს ანტიკურ ნუმიზმატიკაში მ. პატარიძის სვენეთის განძები, შუა საუკუნეების საქართველოს არქეოლოგიაში დ. მინდორაშვილის შუა საუკუნეების საქართველოს არქეოლოგია (II-III ნაწილები ან სრული გამოცემა), მისივე პეტრა-ციხისძირი და კ. მაჩაბლის წიგნები ადრეული შუა საუკუნეების სტელებზე; აფხაზეთის ისტორიასა და არქეოლოგიაში - ი. ბერძენიშვილის ქრისტიანობის გავრცელების საკითხი აფხაზეთში არქეოლოგიური მასალების მიხედვით.*

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ისტორიის და არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები თანდართული სილაბუსებით;
- კლასტერული თვითშეფასების ანგარიში;
- ისტორიის და არქეოლოგიის პროგრამების სტრუქტურა;

- ინტერვიუები პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კომპონენტში გაუქმდეს ხელმძღვანელის შეფასება ან შემცირდეს 10 %-მდე. დარჩენილი ქულები კი გადანაწილდეს რეცენზენტის (40-50 %) და კომისიის (50-60 %) შეფასების კომპონენტში.

**კლასტერის საერთო რჩევები:** სასურველია მივუთითოთ რომ თავისუფალი კრედიტებიდან საქართველოს ისტორია არის სავალდებულო საფაკულტეტო საგანი.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1** (ისტორია, ბაკალავრიატი)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

1. რეკომენდირებულია გადაიხედოს „საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის ეტაპების“ სწავლის შედეგები.
2. რეკომენდირებულია გადაიხედოს და ერთმანეთთან თანხვედრაში მოვიდეს სალექციო კურსის „საქართველოს არქეოლოგია (აღმოსავლეთ საქართველოს შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრეები არქეოლოგიური მასალების მიხედვით)“ კურსის სახელწოდება, მისაღწევი შედეგები და სასწავლო კურსის შინაარსი.
3. რეკომენდირებულია სასწავლო კურსის „არქეოლოგიის შესავალი“-ს ან მიზნები და შედეგები დაკორექტირდეს, ან სილაბუსის კურსში ჩაიშალოს ის საკითხები, რაც მიზნებსა და შედეგებშია მოცემული და სილაბუსში არ ჩანს.
4. *სასწავლო სილაბუსებში ჩაემატოს ბოლო პერიოდის სილაბუსის შინაარსთან შესაბამისობაში მყოფი გამოცემები.*
5. *ზოგიერთი სასწავლო კურსის* („ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქის აღმოსავლეთ ევროპის არქეოლოგიის საკითხები“, „საქართველოს არქეოლოგიის (აღმოსავლეთ საქართველოს შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრეები არქეოლოგიური მასალების მიხედვით)“*) ძირითადი ლიტერატურა დაკორექტირდეს და თემატურად თანხვედრაში მოვიდეს სილაბუსის სათაურებთან.*

6. *რეკომენდირებულია ზოგიერთ სილაბუსში ჩართული ძირითადი ლიტერატურის შემცირება.*

**რჩევ(ებ)ი:**

სასურველია „საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის ეტაპების" სალექციო კურსის შინაარსში ჩაემატოს შუა საუკუნეების პერიოდის არქეოლოგიის შესწავლის ისტორია, რათა კურსის შინაარსი თანხვედრაში მოვიდეს კურსის სახელწოდებასთან.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

**პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა**

| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის. კონკრეტულად, არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ირიცხებიან სრული ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე უცხო ენის, ქართული ენის და ლიტერატურის და ისტორიის საგნების პრიორიტეტებისა და მათი შესაბამისი კოეფიციენტების გათვალისწინებით. ასევე შიდა და გარე მობილობის წესით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე სწავლების მესამე სემესტრიდან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს აბიტურიენტთა ისტორიის და არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამებზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები, ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის. მიღებასთან დაკავშირებული სხვა რელევანტური ინფორმაცია ყოველწლიურად თავსდება შეფასებებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე, აბიტურიენტის ცნობარსა და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამის და/ან არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი განათლების მქონე პირი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საგნების, პრიორიტეტებისა და მათი შესაბამისი კოეფიციენტების გათვალისწინებით, მათ შორის ისტორიის და არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამებზე ჩასაბარებლად აბიტურიენტმა სავალდებულოა ჩააბაროს: ა) ქართული ენა და ლიტერატურა; ბ) უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული); გ) ისტორია. ასევე, შიდა და გარე მობილობის წესით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010

წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანების შესაბამისად და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ნორმატიული აქტების საფუძველზე სწავლების მესამე სემესტრიდან.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (ისტორია, ბაკალავრიატი)

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა დამტკიცებულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 11.08.2022 წ. 05/01-75 დადგენილებით და ეფუძნება საქართველოს კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ" (21/12/2004 წ. N688) და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N 10/ნ ბრძანებას. შესაბამისად, პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გზით საქართველოში სრული ზოგადი განათლება მიღებული მოქალაქეებისთვის, ან სამინისტროს მიერ დადგენილი წესის მიხედვით, ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის. ასევე შიდა და გარე მობილობის გზით მესამე სემესტრიდან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საბაკალავრო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია,/აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილება №05/01-384, 22.02.2018;/საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის
  მეთოდოლოგია;
- პროგრამებზე დაშვების წინაპირობები;
- შეფასებებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ გვერდი www.naec.ge;
- სსუ-ს ვებგვერდი www.sou.edu.ge.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1** (ისტორია, ბაკალავრიატი)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ისტორიის და არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამები უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, საბაზისო კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას და ასევე მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. ორივე პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა სავალდებულო კომპონენტად გაიარონ პროფესიული პრაქტიკა სხვადასხვა ობიექტსა და ველზე. ყოველივე ეს მომავალში კურსდამთავრებულს დაეხმარება და შესაძლებლობას მისცემს რეალურ ცხოვრებაში გამოსცადოს აკადემიურ გარემოში შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა და უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) და დახვეწოს და განავითაროს ისინი. გარდა ამისა, უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა პრაქტიკისა და კარიერის მართვის სამსახური, რომელიც სტუდენტებს აწვდის ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ.

კვლევითი უნარების განვითარების კუთხით, საბაკალავრო პროგრამების აუცილებელი კომპონენტია საბაკალავრო ნაშრომის შესრულება, რომელიც წარმოადგენს უმაღლესი განათ-
ლების პირველი საფეხურის ფარგლებში მიღებული დარგობრივი ცოდნისა და ზოგადი უნარების, სხვადასხვა სფეროში პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობების დოკუმენტირებას.

საბაკალავრო ნაშრომის შესრულებაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მას ათვისებული ექნება პროგრამით გათვალისწინებული ის სასწავლო კომპონენტები, რომელსაც საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობად. კლასტერის პროგრამაში შემავალი ორივე პროგრამა სათანადო ყურადღებას უთმობს სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას:

სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია „ჟამთააღმწერელი“ ეროვნულ დონეზე ყოველწლიურად ტარდება 2015 წლიდან. ამჟამად ჩატარებულია 7 კონფერენცია. სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება ატარებს საჯარო ლექციებსა და სემინარებს ცნობილ მეცნიერებთან და დარგის წამყვან სპეციალისტებთან, როგორც სსუ-ს ასევე სხვა უნივერსიტეტებიდან. ფაკულტეტზე მოქმედებს სტუდენტ „ისტორიკოსთა ლიგა“, რომელშიც გაერთიანებულია ისტორიის და არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები. ლიგა ატარებს სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ ღონისძიებებს. სსუ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია თანხები სტუდენტთა სამეცნიერო განვითარებისთვის. დაწესებულია სტუდენტური პრემიები წარჩინებული სტუდენტებისთვის (დარგების მიხედვით - ვეკუას, თარბას, შერვაშიძის სახელობის).

**საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (ისტორია, ბაკალავრიატი)

ისტორიის საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას, მათ კვლევით

პროექტებში ჩართვას. ისტორიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები გაცვლითი პროგრამებით იმყოფებოდნენ ესპანეთსა და გერმანიაში, ორი კურსდამთავრებული (მარიამ კინწურაშვილი, ბექა ჭიჭინაძე) მაგისტრატურის საფეხურზე სწავლას აგრძელებს ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში. ისტორიის საბაკალავრო პროგრამის 2 კურსდამთავრებული სწავლობს დოქტორანტურაში, საქართველოს უსდ-ში.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)

პროგრამის ამ კომპონენტის მიღწევისთვის გაფორმებულია მემორანდუმები ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმთან, ქუთაისის ისტორიულ მუზეუმთან და ცაგერის ისტორიულ მუზეუმთან. მემორანდუმები ითვალისწინებს პროგრამის მიზანს, შედეგს და ხანგრძლივობას, ასევე პრაქტიკანტ სტუდენტთა რაოდენობას. თუმცა, ვინაიდან, პრაქტიკული საქმიანობა გულისხმობს როგორც საველე პრაქტიკის, ასევე მასალასთან მუშაობას, იმისთვის, რომ ექსპედიციებმა და მუზეუმებმა შეძლონ სტუდენტებისთვის მაქსიმალურად კარგი სამუშაო სივრცის და პირობების შექმნა, სასურველია დაკორექტირდეს სტუდენტთა რაოდენობა და ზედა ზღვარი განისაზღვროს არაუმეტეს 7 სტუდენტისა.
გარდა ამისა, როგორც სტუდენტთა შეფასების ანგარიშები უჩვენებს, კურსდამთავრებულები, ხაზს უსვავენ პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბების ნაკლებობას, რაც გამომდინარეობს სასწავლო კურსში პრაქტიკული აქტივობების ნაკლებობით და სასურველად მიიჩნევენ უფრო მეტად მოდერნიზებას ამ მიმართულებით. ამავეზე მიუთითებს უნივერსიტეტის კურსში - სამუზეუმო და საარქივო საქმე, პრაქტიკული მეცადინეობების ნაკლებობა. ამავე დროს, საველე პრაქტიკის ადგილად ხვამლის ნაქალაქარის მოაზრება, რომელიც რეალურად არ არსებობს და ესაა მხოლოდ შუა საუკუნეების ნაეკლესიარის კვლევისთვის წარმოებული ოთხწლიანი ექსპედიცია, რომელიც დიდი ალბათობით მომავალ წელს ამოწურავს თავის თავს, ნაკლებად უზრუნველყოფს პროგრამის შედეგებზე გასვლას. სტუდენტების ჩართვა სამეცნიერო კვლევით კომპონენტში, როგორიცაა კონფერენციები, არაა ინტენსიური. პრაქტიკული საქმიანობის ხარვეზები ბოლო 2 წლის მანძილზე გამოწვეულია მსოფლიო პანდემიით, თუმცა, შეიძლება ამის მიზეზად განვიხილოთ ასევე სასწავლო საგნებში პრაქტიკული ნაწილის ჩაურთველობა, რაც მოტივაციას და ინტერესს გაზრდიდა. სასურველია არა მხოლოდ პროფესიული არამედ ზოგადი უნარ-ჩვევების უკეთ გამომუშავებისთვის მომხდარიყო ჩაშენებული პრაქტიკის გამოყენების მეთოდი საქართველოს არქეოლოგიის შემსწავლელ სასწავლო კურსებში (ქვის ხანის არქეოლოგია, პრეისტორიული არქეოლოგია, საქართველოს ბრინჯაოს ხანის არქეოლოგია, საქართველოსს ანტიკური ხანის არქეოლოგია, საქათველოს არქეოლოგია ადრეულ, განვითარებულ და გვიან შუა საუკუნეებში, ნუმიზმატიკის შესავალი და განსაკუთრებით - საარქივო და სამუზეუმო საქმე). ჩაშენებული პრაქტიკა შეიძლება გულისხმობდეს არქეოლოგიურ ძეგლებზე სასწავლო ხასიათის გასვლებს, საქართველოს არქეოლოგიური მუზეუმის, თბილისის, მცხეთის არქეოლიური მუზეუმების, რუსთავის ისტორიული მუზეუმის ფონდსაცავებში ან საგამოფენო დარბაზებში და საქარველოს ცენტრალურ არქივში სასწავლო ხასიათის აქტივობებს.

ასევე, როგორც ჩვენთვის ცნობილია, თავად აფხაზეთის უნივერსიტეტს აქვს თავისი არქეოლოგიური ექპედიციების დროს მოპოვებული მასალის ფონდსაცავი, რაც ასევე არაჩვეულებრივი სასწავლო ბაზა იქნებოდა სტუდენტებისთვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ისტორიის და არქეოლოგიის პროგრამების სტრუქტურები;
- ისტორიის და არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამების სტუდენტთა საბაკალავრო ნაშრომები;
- სტუდენტთა ყოველწლიური ტრადიციული სამეცნიერო კონფერენცია „ჟამთააღმწერლის“ პროგრამები და მასალები;
- მემორანდუმები და ხელშეკრულებები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- სტუდენტთა პრაქტიკისა და კარიერის მართვის სამსახური;
- კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების შესახებ ინფორმაცია,
- დაფინანსებული პროექტების მონაცემები
- ინტერვიუს შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

**პროგრამა 1** (ისტორია, ბაკალავრიატი)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

დაკორექტირდეს მემორანდუმით გათვალისწინებული პრაქტიკანტ სტუდენტთა ზედა ზღვარი და ის განისაზღვროს არაუმეტეს 7 სტუდენტისა, რათა მიღწევადი იყოს პრაქტიკით გათვალისწინებულ შედეგებზე გასვლა.

დაკორექტირდეს საველე პრაქტიკის ერთ-ერთ ადგილად მიჩნეული ხვამლის ნაქალაქარი, რომელიც რეალურად არ არსებობს და ესაა მხოლოდ შუა საუკუნეების ნაეკლესიარის შესწავლისთვის მიმდინარე არქეოლოგიური ექსპედიცია.

რეკომენდებულია არქეოლოგიური ეპოქების შემსწავლელ სალექციო კურსებში, ასევე „ნუმიზმატიკის შესავალი“ და „სამუზეუმო-საარქივო საქმე“ წარიმართოს ჩაშენებული პრაქტიკის თანხლებით.

რეკომენდებულია სტუდენტებმა პრაქტიკული მეცადინეობები პერიოდულად მიიღონ არა მხოლოდ მემორანდუმით გათვალისწინებულ დაწესებულებებში, არამედ ეროვნულ მუზეუმში, მცხეთის, რუსთავის და ქალაქის მიმდებარე მუზეუმებში, სადაც სტუდენტთა მობილობა გაცილებით ადვილია.

**რჩევ(ებ)ი:**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

## 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ

მიღწევას.

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლა-სწავლების მეთოდები მოიცავს ლექციას, სამუშაო ჯგუფში და დამოუკიდებელ მუშაობას, დისკუსია-დებატებს, წიგნებზე მუშაობას, წერითი მუშაობის მეთოდს, საინფორმაციო ტექნოლოგიების მეშვეობით მუშაობას, მასალაზე დამოუკიდებელ ან ჯგუფში მუშაობას, გონებრივ იერიშს, ზეპირ პრეზენტაციას და ვიზუალური დემონსტრირების მეთოდს. შესაბამისად, ის ითვალისწინებს პროგრამის სწავლა-სწავლების შედეგებს: მიიღწევა სასწავლო კურსების ფარგლებში ლექციების, სამუშაო ჯგუფებში მუშაობის, სტუდენტთა კონსულტირების, დამოუკიდებელი მუშაობის, პრაქტიკული და საბაკალავრო ნაშრომის განხორციელების გზით. აღნიშნული მეთოდი იწვევს სტუდენტის სხვადასხვა უნარების მათ შორის დამოუკიდებლობის, კრიტიკული და ანალიტიკური უნარების განვითარებას. სასწავლო კურსებში თითოეულ სალექციო თემას მოსდევს პრაქტიკული სამუშაო სტუდენტისთვის პონკრეტული თემით, რომლის შესრულება ფასდება შესაბამისი ქულით. შეფასების სისტემაში გათვალისწინებულია როგორც ავტონომიურობა, ასევე ჯფუგური მუშაობის პრინციპი, სტუდენტის მიერ თემის კრიტიკული განხილვის და მსჯელობის უნარი. შესაბამისად, სწავლა-სწავლების ასეთი მეთოდი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას, პერსონალსა და სტუდენტებს, ასე სტუდენტებს შორის ინტერაქციას. ითვალისწინებს სწავლის პროცესში სტუდენტის მონაწილეობას სათანადო ავტონომიურობით და პასუხისმგებლობით და მიმართულია სტუდენტის მიერ სხვადასხვა უნარების, მათ შორის - კრიტიკული და ანალიტიკური უნარების  განვითარებაზე.

რაც შეეხება იგივე მეთოდის ქმედითობას სწავლების კუთხით, როგორც სტუდენტებთან გასაუბრებით აღმოჩნდა, ისინი ისურვებდნენ სალექციო თემების მიწოდებისას ლექტორებს უფრო მეტად გამოეყენებინათ ვიზუალური მასალა (რუკები, სლაიდები, პრეზენტაციები და სხვ.). პრინციპში, ამ პრობლემის არსებობა გამოიკვეთა თავად აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს დროსაც.

თითოეული სასწავლო კურსი შეესაბამება სწავლების საფეხურს. სწავლა-სწავლების მეთოდები ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. სტუდენტთა დამოუკიდებელი სწავლებისთვის უნივერსიტეტში მოქმედებს ბიბლიოთეკა, რომელიც სტუდენტს ბეჭდური თუ ელექტრონული ფორმით უზრუნვეყლოფს საჭირო სახელმძღვანელო და სამეცნიერო ლიტერატურით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სწავლა-სწავლების მეთოდები;

- ელექტრონული და საბიბლიოთეკო რესურსები;
- ინტერვიუს შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

**კლასტერის საერთო რჩევები:**

გამოკითხვებმა ცხადყო, რომ სტუდენტები ისურვებდნენ სასწავლო პროცესში მეტად იქნეს ჩართული ვიზუალური მასალა და პრეზენტაციები, რაც მათ მეტ აღქმადობას უზრუნველყოფს და ხელს შეუწყობს ისეთი პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბებას, როგორიცაა პრეზენტირება.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ისტორიის და არქეოლოგიის კლასტერში დაჯგუფებული საბაკალავრო პროგრამების სტუდენტების შეფასება ხორციელდება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში დადგენილი წესის მიხედვით. შეფასების სისტემა ერთიანია ზოგად ნაწილში

კლასტერში შემავალი ორივე პროგრამისთვის. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს; შეფასების სისტემა და შეფასებასთან დაკავშირებით არსებული რეგულაციები ნათლადაა გაწერილი სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში.
სტუდენტის შეფასება ხდება მრავალკომპონენტიანი სისტემით და ითვალისწინებს ორ ფორმას შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. შეფასების თითოეულ ფორმასა და
კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) 60 ქულა განკუთვნილია შუალედური
შეფასებებისათვის, ხოლო 40 ქულა - დასკვნითი შეფასებისათვის. საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებისა და დასკვნითი შეფასების ჯამს. შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელსაც ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი ან ავტორები, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმების საფუძველზე. შუალედური შეფასებების აუცილებელი კომპონენტია წერითი შეფასება, რომელიც განისაზღვრება არა ნაკლებ 20 ქულიანი წერითი კომპონენტით. შუალედური შეფასებების ჯამური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა იყოს 11 ქულაზე ნაკლები. დასკვნითი გამოცდის/შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა იყოს დასკვნითი გამოცდის/შეფასების 45% -ზე ნაკლები (18 ქულა) და არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს (24 ქულა).
დასკვნითი გამოცდის ჩატარების წესთან დაკავშირებით აღნიშნულია: „დასკვნითი გამოცდა შეიძლება იყოს წერითი ან კომბინირებული“. ვინაიდან სსუ საგამოცდო ცენტრი ატარებს ყველა გამოცდას, დასკვნითი გამოცდის ზეპირი ფორმატი მოუხერხებელია, რადგან სტუდენტისთვის რთული იქნება შეფასების გასაჩივრება დამადასტურებელი დოკუმენტის არარსებობის გამო.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- *საბაკალავრო ნაშრომები;*
- *პროგრამების შეფასების სისტემა;*
- *სასწავლო პროგრამები;*
- *ინტერვიუს შედეგები.*

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** დასკვნითი გამოცდის ფორმატი განისაზღვროს მხოლოდ წერილობითი სახით. გამოირიცხოს კომბინირებული ვარიანტი.

**კლასტერის საერთო რჩევები:**

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

**პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)**

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)**

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 2.4 სტუდენტების შეფასება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

## პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 2 (არქეოლოგია, ბაკალავრიატი) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ისტორიისა და არქეოლოგიის პროგრამების თვითშეფასების ანგარიშისა და პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინტერვიუს შედეგებით იკვეთება, რომ შექმნილია სტუდენტზე ორიენტირებული გარემო- სწავლის პირველ დღეს იმართება გაცნობითი ღონისძიება, სტუდენტებს ხვდებათ დეკანი; ამასთან ერთად, უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური კლუბები სფეროების მიხედვით. სტუდენტებს შეუძლიათ პრობლემებზე ღიად ესაუბრონ უნივერსიტეტის პერსონალს, მათ შორის, კომუნიკაცია აქვთ რექტორთანაც. სტუდენტები არიან ინფორმირებულნი როგორც გაცვლითი პროექტების, აგრეთვე ადგილობრივი პროექტების შესახებაც- ინფორმაციის გავრცელება ხდება როგორც უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდის, ასევე სოციალური ქსელებისა და ზეპირი სიტყვის მეშვეობით; ამასთან ერთად, სტუდენტები ინფორმირებულნი არიან, თუ რა სამეცნიერო ბაზებზე მიუწვდებათ ხელი და თუ როგორ გამოიყენონ შეთავაზებული ელექტრონული ბაზები; პრობლემის შემთხვევაში კი მათ შეუძლიათ მიმართონ ბიბლიოთეკაში მომუშავე პერსონალს- როგოროც ადგილზე ვიზიტით, ასევე სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობითაც.

სტუდენტები ჩართულნი არიან სხვადასხვა პროექტში- უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია ,,ჟამთააღმწერელი“; ამასთან ერთად, ლექტორები აძლევენ სტუდენტებს თავიანთ კვლევებსა და სტატიებზე მუშაობის პროცესში ჩართვის საშუალებას. აგრეთვე, სტუდენტთა ინიციატივით ტარდება შემეცნებითი ექსკურსიები, რომელში მონაწილეობაც პროგრამების ყველა სტუდენტს უსასყიდლოდ შეუძლია. უნივერსიტეტს გააჩნია თავისი ტრანსპორტი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების ტრანსპორტირებას, როდესაც მათ ქალაქგარეთ ჩატარებულ ღონისძიებებში სურთ მონაწილეობის მიღება.

**საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (ისტორია, ბაკალავრიატი)

ინტერვიუს და თვითშეფასების ოქმიდან იკვეთება, რომ სტუდენტები იღებენ შესაბამის მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე: არსებობს სტუდენტთა მხარდასაჭერი სხვადასხვა სამსახური. აგრეთვე, აკადემიური პერსონალი კონსულტაციებს უწევს სტუდენტებს- კონსულტაციის მიღება ლექტორებისგან სტუდენტებს შეუძლიათ ყოველკვირეულად; ამასთან ერთად, კონსულტაციაზე ინფორმაციის მიღება მათ შეუძლიათ ლექტორთან სატელეფონო ზარით, ან სოციალური ქსელით. საჭიროებისამებრ, მაინორის არჩევის წინ, სტუდენტებს შეუძლიათ შეხვდნენ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელ პერსონალს და გაესაუბრონ საკუთარი არჩევანის შესახებ, მიიღონ რჩევები. სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია გაცვლით პროგრამებსა და ადგილობრივი პროექტების შესახებ როგორც ოფიციალური ვებ-გვერდის, აგრეთვე სოციალური ქსელების მეშვეობით. ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ ლექტორები სტუდენტებს რთავენ თავიანთ კვლევებისა და სტატიებზე მუშაობის პროცესში. უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე სტუდენტები მოიპოვებენ ინფორმაციას იმ ელექტრონულ ბაზებთან დაკავშირებით, რომლებზეც აქვთ წვდომა; პრობლემის შემთხვევაში კი მათ ბიბლიოთეკაში უწევენ კონსულტაციას როგორც ონლაინ/დარეკვის მეშვეობით, ასევე ფიზიკურადაც. ინტერვიუს შედეგად ირკვევა, რომ სტუდენტებს პრობლემებზე კომუნიკაცია აქვთ რექტორთანაც. უსდ უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის შიდა საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრირებას: ამისათვის სწავლის პირველ დღეს იმართება გაცნობითი ღონისძიება, სტუდენტები ხვდებიან დეკანს; აგრეთვე, ფუნქციონირებს სტუდენტური კლუბები (მაგ. ,,ისტორიკოსთა ლიგა“). სტუდენტების სწავლების პროცესი მრავალფეროვანია- მათი ინტერესების გათვალისწინებით ტარდება საჯარო ლექციები; სტუდენტები ჩართულნი არიან კონფერენციებში (მაგ: ეროვნულ დონეზე ჩატარებული ყოველწლიური სტუდენტური

სამეცნიერო კონფერენცია„ჟამთააღმწერელი“). აგრეთვე, ტარდება შემეცნებითი ექსკურსიები, რომელშიც მონაწილეობის მიღება ყველა სტუდენტს უსასყიდლოდ შეუძლია.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** (არქეოლოგია, ბაკალავრიატი)

თვითშეფასებისა და ინტერვიუს შედეგების გააანალიზების შედეგად ირკვევა, რომ სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ აკადემიური პერსონალის კონსულტაცია კარიერულ განვითარებასა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების შესახებ- ამისთვის გამოყოფილია დღეები, რომლებიც მოცემულია სილაბუსებში. აგრეთვე, სტუდენტებს შეუძლიათ ლექტორებთან ზეპირი თუ სოციალური ქსელებით კომუნიკაციის მეშვეობით მიიღონ დამატებითი ინფორმაცია კონსულტაციის დღეებისა და დროის შესახებ.
როგორც ინტერვიუს შედეგებიდან ირკვევა, სტუდენტებს აქვთ არაერთფეროვანი სწავლების პროცესი; კერძოდ, მათ ეძლევათ შესაძლებლობა მიიღონ მონაწილეობა უნივერსიტეტის მიერ მოწყობილ ექსკურსიებში. მეტიც, ექსკურსიების დაგეგმვისას გათვალისწინებულია უშუალოდ სტუდენტთა ინტერესებიც. ამასთან ერთად, უნივერსიტეტს გააჩნია საკუთარი ტრანსპორტირების საშუალება, რომელიც გამოიყენება იმისათვის, რომ სტუდენტების ტრანსპორტირება შეძლონ ქალაქგარეთ გამართულ ღონისძიებებზე. თუმცა, როგორც ინტერვიუს შედეგებიდან ირკვევა, სტუდენტებს სურთ, რომ სწავლების პროცესი მეტად მრავალფეროვანი გახდეს- ჰქონდეთ პრეზენტაციების მომზადების და წარდგენის საშუალება, უშუალოდ ლექტორებმაც მეტად გამოიყენონ პრეზენტაციები სწავლების პროცესში, ვიზუალური მასალის უკეთ წარმოდგენისთვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები;
- არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

**კლასტერის საერთო რჩევები:** სასურველია, უშუალოდ საბაკალავრო ნაშრომის წერის პერიოდში სტუდენტებს მიეწოდოთ საბაკალავრო ნაშრომის გაფორმების სტილზე მეტი ინფორმაცია.

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

**პროგრამა 1** (ისტორია, ბაკალავრიატი)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (არქეოლოგია,ბაკალავრიატი)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:** სტუდენტები საჭიროებენ საინფორმაციო შეხვედრას, სადაც გაეცნობიან კონკურსს სტიპენდიების შესახებ. აგრეთვე, სასურველია სტუდენტს მიეცეს შესაძლებლობა, გამოიმუშავოს პრეზენტირების უნარი და სასემინარო აქტივობის ფარგლებში წარადგინოს პრეზენტაციები. ამასთან ერთად, სალექციო პროცესის განმავლობაში სტუდენტები საჭიროებენ მეტ ვიზუალურ მასალას (პრეზენტაციების სახით). და ბოლოს, სასურველია სტუდენტებს მიეცეთ მეტი პრაქტიკის გავლის საშუალება ადრეული საფეხურიდან, ვინაიდან დარწმუნდნენ, ხედავენ თუ არა საკუთარ თავს ამ პროფესიაში.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (ისტორია, ბაკალავრიატი)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 არქეოლოგია, ბაკალავრიატი)** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და

დოქტორანტებს.

- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

---

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

საჭიროების შემთხვევაში, **აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

| **მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები**<br>პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)[8] | |
|---|---|
| სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა | |
| //სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა | |
| მაგისტრანტების რაოდენობა | |
| //დოქტორანტების რაოდენობა | |

---

[8] საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

| | |
|---|---|
| თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები | |
| თანაფარდობა - სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელები/დოქტორანტები | |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**……………**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

